

დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს საპენსიო ფონდი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში

წინამდებარე ანგარიში შედგენილია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის შესაბამისად, 2024 წლის 06 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდისათვის (შემდეგში - საანგარიშო პერიოდი).

1. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა გაცემის/გაცემაზე უარის თქმის ან საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნის შესახებ

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ საქართველოს საპენსიო ფონდის (შემდგომში - ფონდი) მიერ მიღებულ იქნა 5 (ხუთი) განცხადება. აქედან:

- 3 შემთხვევაში განცხადება სრულყოფილად დაკმაყოფილდა;
- 2 შემთხვევაში განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და განმცხადებელს გადაეცა განცხადებით მოთხოვნილი მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც არ შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს და მესამე პირთა კომერციული საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას;

საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულ განცხადებაზე სრულად უარის თქმის შემთხვევა. ამასთან, ფონდს არ მიუღია საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა.

2. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს საპენსიო ფონდის გენერალური დირექტორი.

3. საჯარო მონაცემთა ბაზებისა და პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ

ფონდი მასზე კანონით დაკისრებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს „საქართველოს კონსტიტუციის“, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის, საპენსიო ფონდის მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარის 2025 წლის 01 მაისის N01 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს საპენსიო ფონდის დებულების“, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 28 თებერვლის №51/04 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს საპენსიო ფონდის საქმიანობის მარეგულირებელი წესის და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების თანახმად. შესაბამისად, ფონდი პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული უფლებამოსილებების განხორციელების ფარგლებში, რაც შეესაბამება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულ მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში ფონდი ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის საფუძველზე. ფონდში დაცულია პერსონალური მონაცემები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. ფონდი საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში იყენებს დოკუმენტბრუნვის (Edocument) ელექტრონულ სისტემას, საპენსიო შენატანების

ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემას და სხვა ელექტრონულ სისტემებს (შემდგომში ერთობლივად - ელექტრონული სისტემები).

მატერიალური და ელექტრონული ფორმით დამუშავებულ და შეგროვებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება მინიჭებული აქვთ მხოლოდ ფონდის იმ თანამშრომლებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავებისა და შეგროვების უფლებამოსილება, ამასთან, ასეთი პერსონალური მონაცემების ნაწილზე საპენსიო ფონდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზნებისთვის ხდება გარე აუდიტორის დაშვება. ასევე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და გათვალისწინებული საფუძლ(ებ)ით, კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად და აუცილებელი მოცულობით, ხდება ცალკეული პერსონალურ მონაცემების დამუშავება და სსიპ შემოსავლების სამსახურისათვის, სსიპ იუსტიციის სახლისათვის და ფინანსთა სამინისტრო დაქვემდებარებაში არსებული სახაზინო სამსახურისათვის გადაცემა. გარდა აღნიშნულისა, ცალკეულ შემთხვევებში, მონაწილეთა თანხმობით, ცალკეულ კომერციულ ბანკთან ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში ხდება მონაწილეთა/პენსიის მიმღებთა პერსონალური მონაცემების დამუშავება, მონაწილეთათვის/პენსიის მიმღებთათვის მათ საკუთრებაში არსებული საპენსიო აქტივების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით. მატერიალური ფორმით არსებული პერსონალური მონაცემებისა და ელექტრონულ სისტემებში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია, რაც თავის მხრივ, გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირების მიერ პერსონალურ მონაცემებზე წვდომას. ფონდის მიერ პერსონალური მონაცემების გაცემა/დამუშავება ხორციელდება მხოლოდ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით და საპენსიო ფონდის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაბამისი საფუძვლებით და მოცულობით.

4. დისციპლინური სახდელების დადების შესახებ

ფონდის თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემოსულ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით არ გამოვლენილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების ფაქტი.

5. საკანონმდებლო აქტები

საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე შემოსული განაცხადების განხილვისას ფონდი ხელმძღვანელობს „საქართველოს კონსტიტუციით“, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით, საპენსიო ფონდის მარეგულირებელი წესით, საპენსიო ფონდის ნორმატიული აქტებით და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რეგულაციებით.

6. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გასაჩივრებული გადაწყვეტილებები და მათთან დაკავშირებული ხარჯები

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, ფონდის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა. ფონდის მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში არ წარმოშობილა ხარჯები. ამასთან, აღნიშნულთან დაკავშირებით ადგილი არ ჰქონია პირის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის დაკისრებას.